



№ 01/02-37

15 სექტემბერი, 2011

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამგებელს,
ბატონ გიორგი დაუშვილს
საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაციის
გამგეობის თავმჯდომარის,
გულიკო შოშიტაშვილის

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის მოწოდების თაობაზე)

როგორც ცნობილია, 2011 წლის 11 მაისს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა გამოაცხადა ტენდერი მარნეულისა და თეთრიწყაროს წყალსადენი სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულებაზე (საიდენტიფიკაციო ნომ. **EIB/WIMP/W/ICB/04**).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

1. გამოვლინდა თუ არა ტენდერში გამარჯვებული კომპანია/კომპანიები.
2. გამარჯვებული კომპანია/კომპანიების დასახელება;
3. გამარჯვებულ კომპანიასთან/კომპანიებთან დადებული ხელშეკრულების ასლი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

გულიკო შოშიტაშვილი
ასოციაციის თავმჯდომარე